



କାର୍ତ୍ତକାବ୍ଦୀ କେନ୍ଦ୍ରାଳ୍ପୁରୀ ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତପ୍ରକାଶନାଳୋ

4
2021



სამარტინო წამე

პატარა კრავმა გაახილა თვალი და მიმოიხედა
ირგვლივ: თვალი შეაგლო ყველაფერს რაც
გარს ერტყა: დედას, ბოსელს - საღაც ისინი
ცხოვრობდნენ, თივას, რომელზეც იწვა. . .

მისწვდა მის ყნოსვას დედის სურნელი, სურ-
ნელი თივისა და მათი სამყოფელისა, სიხარულით
ძგერდა მისი გული! ყველაფერი ახალი, თუმცა
უკვე ძალიან მშობლიური იყო! დედის თბილი,
სკელი, ხაოიანი ენა ნაზად ლოკავდა მის თავს,
ცხვირს, ტანს... მან კვლავ დახუჭა თვალები,
გაიტურნა, ტკბებოდა სიამოვნებისაგან, აღტა-
ცებისგან! აი თურმე როგორი ყოფილა - სიცოც-
ხლე!

შემდეგ მოუნდა სწრაფად წამომხტარიყო
ფქრზე. თუმცა ქანაობდა, ჯერაც არ გამაგრებოდა
მუხლები. დედა ალერსიანად ცდილობდა და-
ებრუნებინა ადგილზე, მაგრამ ის, გრძნობდა რა
ძალების მოზღვებას, უკვე ცდილობდა კუნ-
ტრუშს.

- ძალიან მაღლა ნუ ახტები, თორუმ შეიძლება
ფქრი გადაიბრუნო, - ეუბნებოდა დედა.

მაგრამ კრავი ვერ იოკებდა სურვილს შეეცნო
ირგვლივ მყოფი სამყარო. საღამოს დედამ კვლავ
გალოკა ის და უთხრა:


- შენ ჩემი ლამაზი შვილი ხარ!
კრავი მიექუტა დედის თბილ, ფაფუქ გვერდს
და მალევე ჩაეძინა. თუმცა მოულოდნელად რა-
ღაცამ გააღვიძა: უცნაურმა ხმებმა, ყვირილმა...
დედა და ბოსელში მყოფი სხვა ცხოველები დააბ-
ნია კაშკაშა სინათლებში, რომელიც ტიხარს იქით
ჩანდა. პატარა უფრო ძალიან მიექუტა დედას და
ჰკითხა:

- რა მოხდა?

- ადამიანი იშვა.
- და ვინ არის ის - ადამიანი?
- ის ჩვენი პატარონია. გვწყებსავს, გვკვებავს,
გვკრეჭს, გვიყლის, გვიცავს მტაცებლებისგან.

- შეიძლება შევხედო?

პატარა აღარ დაელოდა დედის პასუხს,
მივიდა ტიხართან და გაიჭვრიტა ლიობში -
დაინახა ადამიანი. როგორი ლამაზია! „ალბათ
ისიც კრავია, თუმცა ადამიანიც არის, ისიც ხომ
ასეთი პატარაა, ლამაზი, ჩემსავით და ისიც ხომ
ბოსელში დაიბადა ჩემსავით,“ - ფიქრობდა კრავი,
და ცნობისმოყარებ იჭვიტებოდა ლიობში. კრავმა
არ იცოდა, რომ ის სამსხვერპლო ცხოველი
იყო, რომ მას განსაკუთრებულად გამოკვებდნენ



და განსაკუთრებულად მოუკლიდნენ, რადგან ადამიანის ცოდვების გამოსასყიდად საჭირო იყო უხინჯო კრავის შეწირვა.

- დედა, - თქვა დედასთან დაბრუნებულმა პატარამ - ის ადამიანიც - კრავია. ძალიან მგავს მე: პატარაა და ლამაზი, ისიც თივაზე წევს, და დედამისსაც ჩანს რომ ძალიან უყვარს, როგორც შე გიყვარვარ მე!

- ჰო, ასეა ჩემო პატარა. ისიც კრავია, თუმცა ადამიანი, - თქვა ჩაფიქრებულმა დედამ და პატარა მიიხუტა, მაგრამ მას დიდხანს არ შეეძლო დამშვიდება...

შემდეგ მან სახურავის ღიობიდან გარსკვლა- გებიანი ცა დაინახა:

- ეს რაღაა? რა-ები ანთა? თითქოსდა თვალს მიკრავენ და მეთამაშებიან!

- ეს ვარსკვლავებია.

- ბევრნი ყოფილან ვარსკვლავები!

- ჰო, ისინი საძოვარზე გაშლილ ფარას ჰგვა- ნან.

- აი დიდი ვარსკვლავი ჩვენს თავზე. როგორ ბრწყინავს, როგორ კაშკაშებს! ის რაღას ჰგვა- დედა? - იკითხა პატარამ.

- პირველად ვხედავ შვილო, - უპასუხა დედამ.

- ის მწყემსს ჰგავს, რომელიც ჩვენს გვერდით არის საძოვარზე. როგორც ჩანს ეს ადამიანი

კრავი მწყემსი იქნება. ეს მისი ვარსკვლავია, ადრე არასოდეს მინახავს... საოცარი ვარსკვლავია.


- ესე იგი ეს ადამიანი კრავიც საოცარია, - წაიჩურჩულა თვლემამორულმა პატარამ.

მან არ იცოდა, რომ იდგა შობის ღამე. რომ ზეციურმა მამამ დედამიწაზე გამოგზავნა თავი- სი მხოლოდშობილი მე - ყრმა იქსო - რომ ყო- ფილიყო კრავი, მწყემსი, მხსნელი ადამიანებისა, რომ ეხსნა ისინი მათი ცოდვებისგან. და ამაში გამოჩნდა სწორედ ვარსკვლავებით მოჭედილი ცასავით უკიდევანო სიყვარული ღმერთისა შენს, ჩემს და ყველას მიმართ.



გოგის ვარსკვლავი


ისე იცი ქრისტეს შობის ისტორია, როგორც
ეს ბიბლიაშია აღწერილი? პატარა ტესტი
გაჩვენებს, რამდენად კარგად იცი ეს ისტორია.
ჩვენ მოგვეძთან ერთად გავემართებით ბაგისკენ.
ყურადღება! გზის დასაწყისს მიუთითებს ისარი.
თითოეულ გზაჯვარედინზე შენ შეგიძლია
ორიდან ერთი გზა აირჩიო. ამასთან ყურადღება
მიაქციეთ თანმდევ ციფრებსა და ტექსტს. თუ
ტექსტი შეესაბამება ბიბლიის ტექსტს - წალი
მარჯვნივ, თუ არ შეესაბამება - წალი მარცხნივ.



თუ ვერ მიხვედი
ბაგასთან, კიდევ
ერთხელ წაიკითხე
ყურადღებით
მათეს სახარების
მე-2 თავის 1-12
მუხლები.

- 1 - 2: სამი მოგვი აღმოსავლეთიდან მოვიდნენ
იერუსალიმში.
- 2 - 3: ჰეროდემ ისინი საჩუქრებთან ერთად
ბეთლემისკენ გაგზავნა, სადაც უნდა
შობილიყო ქრისტე.
- 3 - 4: ვარსკვლავი გაჩერდა იმ ადგილას, სადაც
იყო ყრმა.
- 4 - 5: ისინი შევიდნენ სახლში და ნახეს ყრმა
დედამის მარიამთან ერთად.
- 5 - 6: იქ იყო ასევე იოსებიც, იყვნენ ცხოვე-
ლები.
- 6 - 7: მოგვებმა საჩუქრები მიართვეს ყრმას:
ოქრო, გუნდრუკი და მური.

ნახატი ლ. გ.



ზოლუსამი ჯოვანისა ცეკვა

F B♭ Fsus4

გი - ღო - ცავთ, გი - ღო - ცავთ შო - ბა - ა - ხალ წელს, გი - ღო - ცავთ, გი - ღო - ცავთ

4 G7 C7 F Fine

ქრის - ტეს შო - ბის დღეს. გი - ღო - ცავთ, გი - ღო - ცავთ შო - ბა - ა - ხალ წელს,

7 B♭ Fsus4 C7 F

გი - ღო - ცავთ, გი - ღო - ცავთ ქრის-ტეს შო - ბის დღეს. ვარსკ - ვლა - ვი ა - ნა - თებ - და და

10 B♭ C C

შო - ბას გვა - უნ - ყებ - და, ეს ამ - ბა - ვი მწყემ - სებ - საც ან - გი -

12 C7 F

ლომ - მა ა - უნ - ყა. სად - დაც შო - რით ვარსკ - ვლა - ვი მოგ -

14 B♭ C C7 F

ვებ - მა შე - ნიშ - ნეს და სა - მი სა - ჩუქ - რით შო - ბა აღ - ნიშ - ნეს.


ნახატი მ. ბ.

გირლიანდი სახალები

შეადგინა ტ. პ.


პორიზონტალურად:

2. სოლომონის მეორე სახელი (2 მეფ. 12:24-25).
4. ვინ დაწერა ბიბლიის პირველი ხუთი წიგნი?
6. რა ერქვა იმ ადამიანს ვისაც თმაში ქონდა ძალა? (მსაჯ. 16:13-17).
8. ის იყო ძე იმ იუდას ბეთლემელი ეფრათელისა, რომელიც რვა ვაჟის მამა იყო. ყველაზე ხნი ერი კაცი საულის დღეებში (1 მეფ. 17:12).
10. ლოისის შვილიშვილი, ენინის შვილი, მოცი- ქული პავლეს მოწაფე (2 ტმდ. 1:5; რომ. 16:21).
11. სახელი, რომელიც ნიშნავს „უფალი მოწყა- ლეა“ (იოან. 1:6).
12. ყველაზე ბრძენი მეფე (3 მეფ. 4:30-31).
15. მეფე, რომელსაც სურდა ყრმა იესოს მოკ- ვლა (მათ. 2:1-16).
17. რუთის მეორე ქმარი (რუთ. 4:13).
20. სახელი, რომელიც ნიშნავს „მრავალი ზალ- ხის მამა-ს“ (დაბ. 17:5).
21. იოსების ძმა, რომელმაც იხსნა იგი სიკვდი- ლისგან (დაბ. 37:21-22).
22. რებეკას ძმა (დაბ. 24:29).



ვერტიკალურად:

1. რომელი სახელი ნიშნავს „ჩვენთან არს ღმერთი“? (მათ. 1:23).
2. ვინ გასცა იესო? (მათ. 10:4).
3. ისრაელის უმცროსი ვაჟი (დაბ. 42:29-36).
5. ისრაელის საყვარელი შვილი (დაბ. 37:3).
7. რა ერქვა მოსეს დას? (რიცხ. 26:59).
9. რა სახელი უწოდა მოსემ ოსიას, ნავეს ძეს? (რიცხ. 13:17).
11. ისააკის შვილის სახელი, რომელიც ნიშნავს „ღმერთან მებრძოლს“ (დაბ. 32:28).
12. რა ერქვა იმ ადამიანს, რომელსაც „სული- წმიდისგან ჰქონდა ნაუწყები, რომ არ იხი- ლავდა სიკვდილს უფლის ცხებულის ხილ- ვამდე“ (ლუკ. 2:25-26).
13. ვინ იხსნა ღმერთმა სოდომის განადგურების დროს? (დაბ. 19:15).
14. ვინ მოვიდა იესოსთან დამით? (იოან. 3:1-2).
18. რა ერქვა იოანე ნათლისმცემლის მამას? (ლუკ. 3:2).
19. მოსეს ძმა (გამ. 4:14).
23. პირველი მეცნიელობის მსხვერპლი (დაბ. 4:8).
24. წინასწარმეტყველი, რომელსაც სურდა ღმერთისგან გაქცევა (იონა 1:3).



მორიგანილი


რა დაარქვა ზაქარიამ თავის ძეს?



შეადგინა და დახატა ე. გ.

მარიამი უკვება ელისაბედს თავისი სიხარულის შესახებ:
რომ ღმერთმა აირჩია ის, რათა მან შეს იესო, ქვეყნიერების
მხსნელი. ხუთი კონკრეტული გამოსახულებიდან, რომელი
შესაბამება ზუსტად ნახატს?

იპოვე!



შობის სისარული

გ. ტ.

ალბათ, შენ უკვე ბევრჯერ მოგისმენია ამ საოცარი დღესასწაულის ისტორია! თუმცა ჩვენ კვლავ მოგიყვებით იმ სიხარულზე, რომელიც შობას უკავშირდება.


გახსოვს, ღმერთმა შექმნა ადამიანი, რომ მას მარადიულად ეცოცხლა? მაგრამ ოდესლაც ადამიანებმა გადაწყვიტეს, რომ ღმერთის გარეშეც იოლას გავიდოდნენ, და ურჩობით დაარღვიეს მასთან არსებული მეგობრობა. საბედნიეროდ ისტორია ამით არ დასრულებულა! მრავალი საუკუნის წინ ღმერთმა აღუთქვა ადამიანებს, რომ დედამიწაზე გამოგზავნიდა თავის ძეს, რომ მას სამუდამოდ შევერიგებინეთ ღმერთთან. როგორ გააკეთა მან ეს, ამას ჩვენ შემძევი ისტორიიდან გავიგებთ. . .

დიდი ხნის წინათ ისრაელის ჩრდილოეთში, პატარა ქალაქში, რომელსაც ნაზარეთი ერქვა, ცხოვრობდა ღვთისმოში გოგონა მარიამი. მას ისე ძალიან უყვარდა უფალი, რომ ღმერთმა გადაწყვიტა ის აერჩია თავისი გეგმის აღსასრულებლად. და აი ერთ ჩვეულებრივ ღღესაც, როცა მარიამი დაკავებული იყო სახლის საქმებით, მოხდა მოულოდნელი რამ! მის წინაშე წარსდგა ღმერთის ანგელოზი გაბრიელი და განუცხადა: „ნუ გეშინია მარიამ! ღმერთმა აგირჩია შენ, რომ გახდე მხსნელის დედა! იგი უზენაესის ძე იქნება. დაარქვი მას სახელად იესო. ის იმიტომ იშვება, რომ გადაარჩინოს ადამიანები მათი ცოდვებისგან.“ მარიამი გაოცებული ისმენდა ამ სიტყვებს.

ეს მართლაც დიდებული აღთქმა იყო! იმავე ქალაქში ცხოვრობდა იოსები — მარიამი მომავალი ქმარი. უჩვეულო სიახლემ ორივე გააკვირვა, მაგრამ ისინი დაემორჩილნენ ღვთის ნებას.

იმ ღღებში რომის იმპერატორმა ავგუსტუსმა ბრძანა ჩაეტარებინათ აღწერა, მას სურდა გაეგო, რამდენი ადამიანი ცხოვრობდა მის იმპერიაში. ამისათვის ყველა მცხოვრები უნდა დაბრუნებულიყო იმ ქალაქში, სადაც დაიბადა. იოსები ნაზარეთში ცხოვრობდა, მაგრამ წარმოშობით ის ბეთლემიდან იყო. ბეთლემი ნაზარეთიდან 150 კმ მანძილით იყო დაშორებული. ახალგაზრდა წყვილი იძულებული გახდა გასდგომოდა გზას. მარიამისთვის გზა ძალიან დამღლელი გამოდგა, ვინაიდან მას მაღლ უნდა გაეჩინა შვილი! მაგრამ ბრძანება ბრძანებაა.

და აი, როგორც იყო ჩვიდნენ ისინი ბეთლემში! ხალხით გადავსებულ ქალაქში იოსებმა და მარიამმა დაიწყეს სასტუმროს ძებნა, სადაც შესძლებდნენ ღამის გათევას, მაგრამ არსად არ იყო თავისუფალი აღგილი. საბედნიეროდ მათ შეხვდათ ვიღაც, ვინც დაინახა რა დაღლილი მგზავრები, წაიყვანა სახლში, სადაც ღამის გასათევად ერთადერთი ადგილი იყო ცხოველების სადგომი. „მაპატიეთ, — თქვა მასპინძელმა,



როგორ ვიქრობა?

1. რაში მდგომარეობდა იმ ანგელოზის მიერ ნაუწყები უჩვეულო სიახლე, რომელიც მარიამს გამოეცხადა?
2. რომელი დიდი სიხა-რულის შესახებ შეიტყვეს მწყემსებმა ანგელოზისგან?
3. რატომ უნდა ვემადლიერებოდეთ ლიერთს იქსოს შობის გამო?

— მაგრამ სხვა ადგილი არა მაქვს. მხოლოდ ეს შემიძლია შემოვთავაზოთ.“

სწორედ ამ ადგილას მოხდა ღმერთისაგან აღთქმული მოვლენა. იმ ღამით მარიამა შეა ნანატრი ქე. მან სახვევებში შეახვია იქსო და ბაგაში ჩააწვინა. გაკვირვებულები უფრებდნენ მარიამი და იოსები მშვენიერ ყრმას, ვინც ჯერ არაფრით განირჩეოდა სხვა პაწაწინებისგან. თუმცა მათ იცოდნენ, რომ ის უჩვეულო ბავშვი იყო.

იმავე ღამით, როცა ბეთლემში ყველას მშვიდად ეძინა, ადგილობრივი მწყემსები დარაჯობდნენ ფარას ველად. მოულოდნელად თვალისმომჭრელმა ნათელმა გაფანტა ღამის სიბნელე. „ეს რა არის?“ — განცვიფრდნენ მწყემსები. და დაინახეს ანგელოზი, ვინც საზეიმოდ განაცხადა: „ნუ გეშინიათ!“ მწყემსებს ენა ჰქონდათ დაბმული. ანგელოზმა განაგრძო: „გაუწყებთ თქვენ დიდ სიხარულს, რომელიც ყველა ადამიანისა იქნება დედამიწაზე! დღეს იშვა მხსნელი, რომელიც არის ქრისტე უფალი! ისწრაფეთ ბეთლემში, იქ ნახავთ მას!“

იმავე წამს, გაისმა ანგელოზთა ლაშქრის გალობა: „დიდება მაღალთა შინა ღმერთს! დედამიწაზე სხნა მოვიდა!“ ზეცა სავსე იყო სამოთხისებრი გალობით.

გახარებული მწყემსები უკვე შიშის გარეშე ისმენდნენ თითოეულ სიტყვას. თავიდან ეგონათ, რომ ეს ყოველივე მშვენიერი სიზმარი იყო. შემდეგ კი, გონის მოვიდნენ და უთხრეს ერთმანეთს. „აფდქეთ და წავიდეთ, ვნახოთ, მართალია ის, რაც გურით მოვისმინეთ!“ და გაეშურნენ ბეთლემისკენ.

მათ იაოვეს სადგომი, იხილეს მარიამი და იოსები, ნახეს ასევე თივაზე მიწვენილი ახალშობილი ქრისტე, რომელსაც მშვიდად ეძინა. უჩვეულო იყო ეს ყოველივე!

შენ რაღას იგრძნობდი იმ მომენტში იქ, მწყემსების ადგილზე რომ ყოფილიყავი? დაიჯერებდი, რომ ეს ააწაწინა ყრმა ოდესმე ადამიანების დიდებული მხსნელი გახდებოდა ცოდვის ბატონობისაგან? მწყემსებს სჯეროდათ ეს, ამიტომაც მოწიწებით მოიყარეს მუხლი ახალშობილი მეფის წინაშე. შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, როგორ ცემდა მათი გული სიხარულისგან, უკან, ფარისაკენ რომ მიდიოდნენ. ისინი მიხვდნენ, რომ იქსო იშვა იმ ადამიანების ნამდვილი სიხარულისთვის, ვინც იწამებდა მას! თუ შენც მიხვდი ამას, ნუ დააყოვნებ, მოუყევი შენს მეგობრებს იმ ყველაზე დიდი სიხარულის შესახებ, რომელიც დედამიწაზე არსებობს, სიხარულის, რომელიც ქრისტეს შობას უკავშირდება!

გინდა წაიკითხო ეს საოცარი ისტორია ბიბლიაში? თუ გინდა, გადაშალე ლუკას სახარება და იქ 1 თავის 26-38 მუხლებში და 2 თავის 1-20 მუხლებში იაოვი მას.

სიხარულის შესახებ

ერთხელ, შუადღის შესვენებისას მივედი სახლში და შევნიშნე, რომ ჩვენი რვაწლის შეილიშვილი დგას კორიდორში და ერთ ადგილზე ტოკავს. ვხედავ, რომ რაღაცის თქმა უნდა ჩემთვის.

- რა ხდება შენს თავს, ამოს? — ვეკითხები.
- იცი, პაპა, რა ნიშანი მივიღე დღეს გერმანულ ენაში?
- რა ნიშანი მიიღე?
- „ფრიადი“! მე კი გერმანული მაინცდამაინც არ მიყვარს. სხვა საქმეა — სპორტი ან მათემატიკა. ამ საგნებში მე ხშირად მყავს კარგი ნიშნები. გერმანულ ენაში კი „ფრიადი“ მივიღე — ეს პირველად ხდება.
- გილოცავ! — ვუწვდი მას ხელს. — ახლა გაიქეცი, ბებიასაც მოუყევი. . .
მესმის სამზარეულოდან:
- იცი, ბებია, რომ მე დღეს . . .

მესმის ბიჭისა. ვის არ გაუხარდება კარგი ნიშნის მიღება? მითუმეტეს იმ საგანში, რომელიც მას უმნელდება. ამიტომაც სიხარულის გაზიარება სასიამოვნოა. ძველი შვედური ანლაზისა არ იყოს: გაზიარებული სიხარული რომადება, ხოლო გაზიარებული მწუხარება ნახევრდება.

ჩვენ სიამოგზებით უუზიარებთ ადამიანებს სიხარულს, ეს ასეა? ამიტომაც შობისას ვცდილობთ ჩვენს მეგობრებსა და ახლობლებს ისეთი საჩუქარი მოვუძებნოთ, რომელიც მათ სიხარულს მოუტანს. ჩვენ გვინდა მათთან ერთად გავიზიაროთ სიხარული ქრისტეს შობისა. ზუსტად ისე, როგორც ანგელოზმა გაუზიარა ეს სიხარული მწევებს ბეთლემის ველზე. მან თქვა: „ნუ გეშინიათ. აპა, გახარებთ დიდ სიხარულს, რომელიც მთელი ხალხისთვის იქნება: რადგან დღეს დავითის ქალაქში თქვენთვის იშვა მაცხოვარი, რომელიც არის ქრისტე უფალი“ (ლუკ. 2:10-11).

ანგელოზის ამ სიტყვებში — დიდი ჭეშმარიტებაა: ნამდვილი სიხარული არის ის, რომელიც არ გადადის, არამედ სამუდამოდ რჩება, — რაღაც მოდის უფლისგან, ჩვენი ღმერთისა და მხსნელისგან. საჩუქრები გვახარებს ჩვენ, მაგრამ ეს სიხარული მალევე გადის. კარგი ნიშნებიც გვახარებს სკოლაში, მაგრამ სულ რამდენიმე დღის მანძილზე, შემდეგ წინ კვლავ ახალი ამოცანები და ახალი საკონტროლო სამუშაოები გველის.

სიხარული კი, რომელიც მომდინარეობს იმისი ცოდნიდან, რომ ჩვენ გვევავს მხსნელი, რომ ღმერთს ვუყვარვარო, რომ ის ყოველთვის ჩვენს გვერდით არის, რომ შეგვიძლია ვილოცოთ მის წინაშე და რომ მას ყოველთვის ესმის ჩვენი ლოცვა, — არ გადის, არ ქრება. და ეს სიხარული გვეკუთვნის არა მხოლოდ ჩვენ, არამედ ყველა ადამიანს. ამიტომაც უნდა გავუზიაროთ ის ყველას: მოვუყვეთ მათ იქსო ქრისტეს შესახებ, ღმერთის სიყვრულის შესახებ და მოვიწვიოთ, რომ ჩვენთან ერთად წამოვიდნენ ეკლესიაში — და თაყვანი სცენ ღმერთს. ჩვენ ხომ გვინდა, რომ ღმერთისაგან მოგვრილი სიხარული სხვებისაც გახდეს. ამიტომაც მოდით შობის დღეებში არა მხოლოდ მოძღვნილი საჩუქრებით გავიხაროთ, არამედ იმითაც, რომ ეს სიხარული გავუზიაროთ ჩვენს მეგობრებს, თანაკლასელებს, მეზობლებს და ზოგადად ყველა ადამიანს.

ჩვენ ზუსტად ვიცით: ჭეშმარიტი სიხარული — ღვთის საჩუქარია ჩვენთვის და გაზიარებული სიხარული კი არ მცირდება, არამედ იზრდება.

რომელი ქანცუსია

ცნობილი?



1. ვინ ხარობდა ელისაბედთან ერთად,
გაიგო რა, რომ მას ჰყოლა ძე?

- ა) მარიამი
- ბ) მეზობლები და ნათესავები
- გ) მღვდლები

3. ვის აუწყა ანგელოზმა დიდი
სიხარული იმის შესახებ, რომ
იშვა მხენელი?

- ა) მწყემსებს
- ბ) მოგვეპს
- გ) მღვდლელმთავარს

4. ვინ გაიხარა დიდი
სიხარულით, როდესაც
დაინახეს გარსევლავი ქრმის
ბაგასთან?

- ა) მღვდლელმთავრებმა და
მწიგობრებმა
- ბ) მეფე ჰეროდემ
- გ) მოგვებმა
აღმისავლეთიდან

5. ვის უხაროდა ის, რომ იქსოს
სახელისათვის შეურაცხყოფის
დარსი გახდნებ?

- ა) მოციქულებს
- ბ) ოსებ არიმათიელს
- გ) ნიკოდემოს



6. ნათლობის შემდეგ
ვინ განაგრძო გზა,
გახარებულმა?

- ა) ფილიაქემ
- ბ) საჭურისმა
- გ) სავლეტ

7. იქსოს სიტყვების თანახმად, ვისჯე
იქნება უფრო მეტი სიხარული ზეცაში,
ვიდრე 99 მართალზე, რომელთაც არ
სჭირდებათ სინანული?

- ა) მონაწიე ცოდვილზე
- ბ) განკურნებულ ადამიანზე
- გ) საონო ადამიანზე



8. ვინ თქვა, რომ მისთვის არ
არსებოს იმაზე მეტი სიხარული,
ვიდრე იმისი მოსმენა, რომ მისი
შეიღები (ანუ მისი მეშვეობით
რწმენაში მისულები) დადან
ჰეშმარიტებით?



- ა) მოციქულმა პავლემ
- ბ) მოციქულმა პეტრემ
- გ) მოციქულმა იოანემ



ნახატი ვ. დ.

2. ვის გამოეცხადა ანგელოზი და
უთხრა: „გინაროდეს მიმაღლებული,
უფალი შენთანა...“

- ა) ელისაბედს
- ბ) მარიამს
- გ) ტობითას



მოსავისის ზეგიში

გარეთ თოვდა, კინავდა. დათისმასახურების შემდეგ გეორგი და მისი შშობლები სა-დილისთვის გაემზადნენ. დედამ ქათის შემწვრი ფქები და მოხარშული კარტოფილი მოიტანა მაგიდაზე, — ეს გეორგის საყვარელი საჭმელი იყო. კარტოფილის კურებისას, გეორგმა გაიხსენა კარტოფილი ზეიმი, სადაც შშობლებთან ერთად იყო სამი თვის წინ.

ის სოფელი, გერმანიის სამხსრეთით, სადაც მისი პაპა და ბებია ცხოვრობდნენ, ცნობილი იყო იმით, რომ იქ კარგი კარტოფილი მოჰყავდათ. ყოველ წელს, მოსავლის აღების შემდეგ, იქაურები აწყობდნენ კარტოფილის ზემს, რომელზედაც ათასობით ადამიანი ჩამოდიოდა ახლომდებარე დასახლებელიდან. სოფლის მცხოვრებლების, როგორც ერთი ოჯახის ხელში, მთელი შაბათი დღის განმავლობაში ათასობით ტონა კარტოფილი გადიოდა: ისინი დიდ ვანებში რეცხვდნენ კარტოფილს, ასუფთავებდნენ და მიჰქონდათ ოჯახებში სხვადასხვაგარი საჭმელების მოსამზადებლად. მოსახლეობის მეორე ნაწილი დაკავებული იყო ასპარეზობების მომზადებით, ხოლო კიდევ სხვა ნაწილი რთავდა ქუჩებს.

გეორგი ამ ზეიმშე პირველად იყო, ვინაიდან შშობლებთან ერთად საკიანულ შორს, გერმანიის ჩრდილოეთით ცხოვრობდა. ბებიის გულმოდგინე თხოვნების საპასუხოდ გეორგის ოჯახი სპეციალურად ჩამოვიდა ამ ზეიმშე დასასწრებად.

იმ შემოდგომის კვირა დღეს საუცხოო ამინდი იდგა. ცხადია გეორგს არ შეეძლო ყველაფრის გასინჯვა, რაც სოფლის მცხოვრებლებმა მოამზადეს. თუმცა გააოცა იმან, რომ კარტოფილისგან ამდენი საჭმელების მომზდება იყო შესაძლებელი! ზოგიერთი მათგანი მას არასოდეს გაესინჯვა.

გეორგისთვის ყველაზე საინტერესო იყო ასპარეზობა. ის მხიარულად აკვირდებოდა ორი კაცის შეჯიბრს, რომლებიც იმაში ეჯიბრებოდნენ, თუ რომელი მათგანი შესძლებდა უფრო სწრაფად გაერა კარტოფილით საუსე ზურგზე მოგდებული ტომრით 40 მეტრი მანძილი.

ქალებს კი სხვანარი დაკალება პერნდათ მიცემული; რომელი მათგანი უფრო სწრაფად და სუთად გაფრცევნიდა უფრო მეტ კარტოფილს სამ წუთში. განსაკუთრებულ უფილ-ხივილს იწვევდა კაცების შეჯიბრი კარტოფილის მინდორზე სოფლის ბოლოს. თითოეული რე მონაწილიდან იდგა მისთვის გამოყოფილი კარტოფილის უკვე ამოთხრილ რიგთან. მონაწილეებს ხელში დიდი ვედროები ეჭირათ, რომელშიც კარტოფილი უნდა მოეკრიფათ. გამარჯვებული ხდებოდა ის, ვინც ხუთი წუთის მანძილზე მოკრეფდა ყველაზე მეტი რაოდენობის ბოლქებს. გამარჯვებული საშუალო ასაკის კაცი აღმოჩნდა, რომელიც, როგორც აცნობეს გეორგს, გასული წლის გამარჯვებულიც იყო.

სახლში დაბრუნებული გეორგი თანაკლა-სელებს დაწვრილებით უყვებოდა იმის შესახებ, რაც ნახა და გასინჯვა ამ ზეიმშე, რითაც ძალიან გააოცა ისინი, ვინაიდან მათ არ იცოდნენ ამდენი რამე თუ იყო დაკავშირებული ამ ჩეულებრივ ბოსტნეულთან.

კარტოფილი
მიეკუთვნება
მრავალწლოვან
გორგლიან
მცენარებს
ძალფურძნებასებრთა
ოჯახის გვარიდან.
ეს ერთ-ერთი
ყველაზე სასარგებლო
მცენარეა დედამიწზე,
უნიკალური
საკვები პროდუქტი.
იგი შეიძლება
ხანგრძლივი
დროის მანძილზე
გამოიიყინოთ
საკვებად, და
არ დაგამატოთ
რაციონს არაფერი
სხვა. და მართლაც
კარტოფილს
„მეორე პურსაც“
უწოდებენ. ის ისევე
ფასობს, როგორც
პური და ადამიანს
არასოდეს ბეზრდება.
სწოლულები მას
ბოტანიკურ შეღვრის
უწოდებენ.




ნახატი ა. ვ.

კარტოფილი


კარტოფილის ისტორიიდან

კარტოფილის სამშობლოდ
ითვლება სამხრეთი ამერიკა.
იქ დღემდე ვხედებით ველურად
შზარდ კარტოფილს. სამხრეთ
ამერიკალი ინდიელები არა მხო-
ლოდ საკვებად იყენებდნენ მას,
არამედ ეთავგანებოდნენ კიდეც.

უვროპაში კარტოფილი ცნო-
ბილი გახდა XVI საუკუნეში.
როგორც ჩანს ის შემოტანილ იქ-
ნა ესპანელი კონკისტადორების
მიერ. ინგლისში მას უწოდეს ბა-
ტატი, ვინაიდან მისი ბოლქვები
ჰგავდა ბატატის ბოლქვებს. და
მიუხედავად იმისა, რომ კარტო-
ფილს საერთო არაფერი აქვს
ბატატთან, ეს სახელი, მცირედ
სახეცვლილი შეუნარჩუნდა მას.
იტალიაში კარტოფილი მოხვ-
და, როგორც საჩუქარი რომის
პაპისადმი. იტალიელებმა უც-
ხო ქვევნის „მიწის ვაშლებს“
ტარტუფოლი უწოდეს, რად-
გან ისინი თვითი ფორმითა და
„ცხოვრების“ მიწისქვეშა სახით
მოგვაგონებდნენ ტრუფელის
სოკოებს.



თავიდან კარტოფილს ზრდი-
დნენ ბოტანიკურ ბაღებში,
როგორც დეკორატიულ და
სამკურნალო მცენარეს. მისი
საკვები ღირებულებები მოგვი-
ანებით იქნა აღიარებული. უვრო-
პელები კარტოფილს „ეშმაკის
საკვებად“ თვლიდნენ. შოტლან-
დიელები მაგალითად უარს ამ-
ბობდნენ მის ჭამაზე, ვინაიდან
მის შესახებ არაფერი იყო ნათ-
ქვამი ბიბლიაში. ამავე დროს
უვროპელებიდან ბევრმა არავინ
იცოდა, როგორ უნდა გამოეყე-
ნებინათ ის. ადამიანები ხანდა-
ხან იწამლებოდნენ, ვინაიდან
ბოლქვების მაგიერ ჭამდნენ
მცენარის შხამიან მარცვლებს;




ინგლისელი ზღვაოსანი აკვირდება
კარტოფილის პირველ თესვას.
ირლანდია, XVI ს.

ესპანელები ცდილობდნენ ეჭა-
მათ უმი ბოლქვები. მხოლოდ
გარკვეული დროის გასელის
შემდგა დაიწყეს ვეროპელებმა
კარტოფილის შეწვა და მოხარ-
შვა. პრუსიის მეფე ვილჰელმ
I-მა სპეციალური ბრძანებაც
კი გამოსცა: ყურები და ცხვირი
მოეჭრათ მისთვის, ვინც უარს
იტყოდა კარტოფილის დათვე-
გაზე. ინგლისში გლეხებს შეპ-
პირდნენ ოქროს მედლებს, თუ
ისინი დაიწყებდნენ კარტოფი-
ლის თესვას.

სიცოცხლის ფანატიკი

ძველ პერიოდი დროის
საზომად იყენებდნენ
იმ დროს, რომელიც
სჭირდებოდა
კარტოფილის
მოხარშვას -
დაახლოებით ერთი
საათი. ეს იყო ორი
მეთოდიდან
ერთ-ერთი
დღის დროის
განსასაზღვრად
ინკვისიტივის კალენდარში.



ინკვისიტივის კარტოფილს

1995 წელს კარტოფილი გახდა პირველი
ბოსტნეული, რომელიც კოსმოში გამოჰარდეს.



ბელგიაში არსებობს კარტოფილის მუზეუმი. ამ ბოსტნეულის ისტო-
რიაზე გვიყვება ათასობით ექსპონატი — საფოსტო მარკებიდან დაწ-
ყებული, რომლებზეც კარტოფილია გამოსახული, ცნობილ ტილოე-
ბამდე, როგორიცაა მაგალითად, გან გოგის „კარტოფილის ჭამა.“

მთლიანად მსოფლიოში არსებობს
5000-მდე კარტოფილის ჯიში, ხო-
ლო ყველწლიური მოსახლი შე-
ადგენს დაახლოებით 300 მილიონ
ტონას.

კარტოფილი კალიუმის
შემცველობით
რეკორდს მენია საკვე-
პროდუქტებს შორის.



რუსეთში კარტოფილის გამო-
ჩენა უკავშირდება პეტრე I-ს
სახელს, რომელმაც 1700 წელს
ჰილანდიიდან რუსეთში გა-
მოგზავნა კარტოფილით სავსე
ტომარა, რათა ის რუსეთის გუ-
ბერნიებში გავრცელებინათ. პე-
ტრებურგელი დიდგვაროვნები
კარტოფილს თავიანთ ბაღებში
რგორენ, როგორც ველურ მცე-
ნარეს. ხოლო ბალ-მასკარადებ-
ზე ჩამოტარებულ კარტოფილს
მიირთმევდნენ არა მარილით
არამედ შაქრით.

ვეროპაში „მეორე პური“
ფართოდ გავრცელდა მხოლოდ
XVIII საუკუნის მეორე ნახე-
ვარში. ამჟამად ის თითქმის
მთელს მსოფლიოში, ზომიერი
კლიმატური პირობების მქონე
ნიადაგებზე მოჰყავთ.



ბოყაზი ბოყაზი

ბოყაზმა თავის ყანაში დაინახა ახალგაზრდა ქალი, რომელიც თავთავებს აგროვებდა. თავისი მომკელებისგან გაიგო, რომ ეს ქალი იყო მისი ნათესავის, ნაყომის დაქვრივებული რძალი. ბოყაზს სმენოდა მოაბელი რუთის ერთგულება დედამთილის მიმართ. მან მიიპატიჟა ახალგაზრდა ქალი სადილზე და უთხრა რომ თავთავები მხოლოდ მის ყანაში მოეკრიფა. მომკელებს კი უბრძანა არ გაენაწყენებინათ რუთი და უფრო მეტი თავთავები დაეტოვებინათ მისთვის (რუთ. 2).

ნახატი ე. ბ.

შეტრალე

კონკრეტე

დმურთს შეუძლია გამოიყენოს ახალგაზრდა
ადამიანები! მატილდა გამოეხმაურა მის
მოწოდებას და სისარულით ქწეოდა თავის
მსახურებას.

მატილდა ცხოვრობდა ფინეთში, ქალაქ გასაში. მამამისი, ბარონი ფონ ვრედე, იყო გენერალი და ქალაქის გუბერნატორი. მატილდას დედა, სამწუხაროდ მალევე გარდაიცვლა მშობიარობის შემდეგ. თუმცა მიუხედავად იმისა, რომ გოგონა დედის გარეშე იზრდებოდა, მისი ბავშვობა ბედნიერი იყო. მამა თვალის ერთი შევლებით ხვდებოდა და უსრულებდა სურვილებს. გოგონას ცხოვრება მშვიდად და აუდლენებლად მიედინებოდა.

ერთხელ, ზამთრის დღეს, მატილდა, რომელიც გაიზარდა და გახდა სიცოცხლით სავსე ხალისიანი გოგონა, იჯდა თავის საყარულ ადგილზე ფანჯარასთან და ქარგავდა. გარეთ გადაუდებლად თოვდა. მატილდა თან ქარგავდა და თან გამვლელებს აკვირდებოდა, რომელთაც სადღაც მიეჩქარებოდათ.

და უცემ გოგონას გაახსენდა სიზმარი. სიზმარში მან ნახა, რომ კარი მოულოდნელად გაიღო და ოთახში შემოვიდა ხელებზე და ფქვებზე ბორკილებას ხელი კაცი, ნაღვლიანად შეხედა მას და თქა: „ძალიან ბევრი ადამიანი ცხოვრობს ბორკილებში. თუმცა მათ უნდათ რომ მშვიდობაში და თავისუფლებაში იცხოვრონ. მიუტანე შენ მათ უწყება იესო ქრისტეზე, რომელიც მისცემს მათ ჭეშმარიტ თავისუფლებას.“ მატილდა დიდხანს ფიქრობდა იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა შეიძლება პქონოდა ამ სიზმარს, მაგრამ არანაირ დასკვნამდე არ მისულა.

ერთხელაც მატილდას მამა მიიწვიეს ზამთრის ყოველწლიურ ზეიმზე ვასას დიდგვაროვან საზოგადოებაში. გოგონა პირველად უნდა ხლებოდა მას. თუმცა მატილდამ გაიგო, რომ ქალაქში ჩამოვიდა ევანგელისტი, ვისაც სწორედ ამ საღამოს უნდა ექადაგა ეკლესიაში. მას ძალიან უნდოდა მოესმინა ამ ადამიანისათვის, ვინაიდან უკვე ძალიან ბევრი რამ სმენოდა მის შესახებ. მიიღო რა შვილისგან პირობა, ეკლესიის შემდეგ მისულიყო ზეიმზე,



ბარონმა ნება მისცა მას წასულიყო კრებაზე.

იმ საღამოს ევანგელისტმა ქადაგების ბოლოს, დამსწრებს მიმართა და მოუწოდა წინ გამოსულიყვნები ისინი, რომელთაც გაუჩნდათ სურვილი იესოსთან ერთად გაეგრძელებინათ ცხოვრება. მქადაგებლის სიტყვები გულზე მოხვდა მატილდა და მან გადაწყვიტა გამოსულიყო წინ, რომ ყველას წინაშე დაემოწმებინა, რომ ახლა ის ღვთის შვილია. გულში ლოცულობდა მატილდა: „უფალო იესო, მაღლობას გიხდი შენი სიყვარულისათვის, რომელიც ეგზომ დიდია, რომ მოკვდი ჩემს გამო. გთხოვ დამქმარე, რომ სხვა ადამიანებსაც ვუამბო ამ სიყვარულის შესახებ.“



როცა მატილდა ბოლოს და ბოლოს მივიღა ზამთრის ზემზე, მეგობრებმა ჰქითხეს, სად იყო, რატომ დაიგვიანა. გოგონა მოუყვა მათ კრების შესახებ ეკლესიაში და იმის შესახებაც, რა გადაწყვეტილებაც მიიღო. — იქსო ახლა ჩემი უფალია, — თქვა მან.

— შენ რა, ავად ხარ? — გაოცდნენ მეგობრები.

მაგრამ მატილდამ სიხარულით მიუგო:

— არა, ავად არ გარ! პირიქით, ასე კარგად თავი არასოდეს მიგრძენია.

თუმცა ისინი მხოლოდ თვეს იქნევდნენ.

გავიდა რამდენიმე ღლე. მატილდა მარტო იყო სახლში. კვლავ იჯდა ფანჯარასთან, კვლავ უცქერდა მოფარფატე ფანტელებს. აზრებით გოგონა უბრუნდებოდა იმ საღამოს ეკლესიაში. ის ხვდებოდა, რომ იმ საღამომ შეცვალა მთელი მისი ცხოვრება, და რომ ღმერთმა მისთვის რომელიდაც გარკვეული საქმე გაითვალისწინა. თუმცა მან ჯერაც არ იცოდა რომელი.



მოულოდნელად კარზე დააკაკუნეს. წასვლის წინ მამამ გააფრთხილა მატილდა, რომ გამოგზავნიდა პატიმარს ციხიდან, რომელიც კარგი ზეინგალი იყო და შეაკეთებდა მისი ოთახის დაზიანებულ საკეტს. იმ დროს პატიმრებს ხანდახან უშვებლენენ ციხიდან გარკვეული სამუშაოების შესასრულებლად.

მატილდამ გააღო კარი და შეიპატიუა პატიმარი. მან თავაზიანად თქვა საღამი და მაშინვე შეუდგა საქმეს.

აკვირდებოდა რა პატიმრის მუშაობას, რომელსაც ფეხებზე ბორკილები ედო, მატილდას გაახსენდა თავისი სიზმარი. მისთვის ნათელი გახდა, რომ ღმერთს ადრევე სურდა რაღაც ეთქვა მისთვის და ახლა მიხვდა, რაც იყო ეს. მან უამბო პატიმარს იმის შესახებ, რაც მოხდა ეკლესიაში რამდენიმე ღლის წინ. მოუყვა მას იქსოზე და ახარა, რომ მას ისიც უყვარს და უნდა რომ გაათვაისუფლოს თავისი ცოდვებისაგან.

პატიმარმა ყურადღებით მოუსმინა მას, შექედა და თქვა:

— მოწყალეო ქალბატონო, თქვენ უნდა მოხვიდეთ ციხეში და სხვებსაც მოუყვეთ ის, რაც მე მომიყვაით.

მატილდა დუმდა. ბოლოს თქვა:

— ვიფიქრებ ამის შესახებ.

პატიმარმა თავი დაუხარა მას, მაღლობა გადაუხადა და წავიდა.

ამ ღლის შემდეგ მატილდამ მოსვენება დაკარგა. როგორ წავა ციხეში და როგორ მოუყვება პატიმრებს იქსო ქრისტეშე? ის ხომ ჯერაც ყმაწვილებალია!

ერთხელაც, საღამოს, გოგონამ გადაშალა ბიბლია და წაიკითხვა წინასწარმეტყველ იერმიას წიგნის პირველი თავი. იქ ლაპარაკი იყო იმის შესახებ, როგორი რეაგირება მოახდინა იერმიამ ღმერთის მოწოდებაზე გაეწია მსახურება: „ეჭ, უფალო, ღმერთო! მე არ ვიცი ლაპარაკი, რადგან ყმაწვილი ვარ.“ მაგრამ უფალმა უთხრა მას: „ნუ ამბობ: ყმაწვილი ვარო, რადგან, საითაც კი მიგავლენ, უნდა წახვიდე და, რასაც გიბრძანებ, ყოველივე უნდა ილაპარაკო.“

მატილდასთვის სრულიად ცხადი გახდა, რა იყო მისი დაგალება ღმერთისგან: წასულიყო პატიმრებთან ციხეში და ეამბნა მათთვის იქსო ქრისტეშე. გოგონამ ილოცა: „უფალო, მაღლობა შენ ამ ნათელი სიტყვებისათვის. შენ გსურს ჩემი გამოყენება ჩემი ყმაწვილქალობის მიუხდავად. მომეცი ძალა ამ მსახურების გასაწევად.“

ორი დღის შემდეგ დგებოდა შობა. ყველაფერი სიხარულით ფშვნდა. მატილდას მამამ მისთვის ბევრი საჩუქარი მოაშადა. თუმცა გოგონას ფიქრები კვლავ ერთ საკითხს უბრუნდებოდა. ბოლოს მოკრიფა ძალა და სთხოვა მამას მის გვერდით ჩამომჯდარიყო.

- მე ერთი განსაკუთრებული სურვილი მაქვს მამა, - თქვა გოგონამ.

- რა სურვილია მითხარი! — მიუგო მამამ. — ვნახოთ შეგძლებ მის შესრულებას.

- მამა, მინდა პატიმრები მოყინახულო ციხეში.

გენერალმა ქალიშვილს ფართოდ გახელილი თვალებით შეხედა:

- რას ამბობ? არასოდეს მოგცემ უფლებას წახვიდე ციხეში და მოინახულო ეს უხეში, გაუთლელი კაცები!

- მეც ასე ვფიქრობდი, - მიუგო ქალიშვილმა. - მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ღმერთს სურს ამ ადამიანებს კეთილი ამბავი ვახარო. და იცი მამა, მე ღმერთს შევპირდი ამის გაკეთებას.

და მოუყვა მამას თავისი სიზმრის შესახებ და იმ პატიმარზე, რომელმაც შეაკეთა მისი ოთახის საკეტი. რაც უფრო მეტ ხანს უსმენდა მამა შვილს, მით უფრო ცხადი ხდებოდა მისთვის, რომ ვერ გადაათქმევინებდა მას ამ სურვილს. და შემდეგ უპასუხა ნელა და გარკვევით:

— თუ შეპპირდი ღმერთს, ვალდებული ხარ შეასრულო ეს პირობა.

მატილდა ძალიან გახარებული იყო!

- ეს ყველაზე კარგი საშობაო საჩუქარია, რომელიც შენ შეგეძლო ჩემთვის მოგეძლვნა! - წამოიძახა მან და მამას გადაეხვია.

რამდენიმე დღის შემდეგ მატილდა ვრედე პირველად შევიდა ქალაქ ვასას ციხეში, რათა შეხვედროდა იქ მყოფ პატიმრებს. ამ ვიზიტს მრავალი სხვა მოჰყვა.

ათი წელი გავიდა ციხეში პირველი მისვლის შემდეგ. და ყოველ წელს მატილდა სწირავდა, რომ ქრისტეშობა ოჯახთან ერთად კი არ აღენიშნა, არამედ პატიმრებთან. და ყოველ წელს პატიმრები სიხარულით ელოდნენ მის მისვლას. ერთხელ, უნდოდათ რა მისი ვახარება, მათ პური გამოაცხეს მისთვის თეთრი ფქვილით რძესთან ერთად. მატილდა ძალიან აღელდა, პატიმრებიც ვახარებულები იყვნენ, რომ მას სიხარული აჩუქს.

გოგონამ იცოდა, რომ ყველა პატიმარს შეეძლო მის მიერ მოწყობილ მცირე ზემზე მისვლა, თუმცა მას იმათი მონახულებაც უნდოდა, რომლებიც საკნებში რჩებოდნენ. და აი ახლა ის ციხის საკნებშიც ხვდებოდა პატიმრებს, მოპერნდა მათთვის სიხარული და უყვებოდა მათ ხენის გზის შესახებ.

ამ მსახურებას ბარონესა მატილდა ვრედე მრავალი წლის მანძილზე ქრეოდა, თავის სიკედოლამდე. პატიმრების შემდეგ მან მათი ნათესავების მონახულებაც ჩაიდო გულში, მიუხედავად ამ მსახურებასთან დაკავშირებული სიძნელებისა. ის გადასცემდა მათ დანაბარებს პატიმრებისგან და უყვებოდა ქრისტეს შესახებ.

მძიმე შრომაშ გამოფიტა მისი ძალები - იგი დასწეულდა. ამ ქალმა კურთხეული ცხოვრება გაატარა და იცოდა, რომ დადგა საუკეთესო მეგობართან - იქსო ქრისტესთან - მისი გადასვლის დრო.


პატიმრებმა, რომელთაც ის მრავალი წლის მანძილზე ხვდებოდა, სიყვარულით შეარქვეს მას „პატიმრების ანგელოზი.“

ღმერთს შეუძლია ახალგაზრდების გამოყენება! მატილდა თავიდან ფიქრობდა, რომ ჯერაც ყმაწვილქალი იყო უფლის დავალების შესასრულებლად. მაგრამ უპასუხა მის მოწოდებას და სიხარულით ქრეოდა ამ მსახურებას. ის ადამიანებს იმ სიყვარულს უზიარებდა, რომელიც თავად მიიღო ღმერთისგან.

ლ. ფ.

ნახატი ე. გ.

ვარსკვლავი გამის თავზე



ბოსელი, ბაგა და ვარსკვლავი
შედგენილია იმ ადამიანების
სახელებისგან, რომლებიც
დაკავშირებულები არიან იესოსთან
და მის შობასთან. ჩაწერ პასუხები
უჯრების შესაბამის რიგებში.

1. თქვენთვის იშვა მაცხოვარი, რომელიც არის ქრისტე.... (ლუკ.2:11).
2. რომელ ქალაქში გაემგზავრნენ მარიამი და იოსები აღწერისთვის? (ლუკ.2:4).
3. ამ სახელს წინასწარმეტყველებდა ესაია (7:14).
4. აპა, გახარჯით დიდ... (ლუკ.2:10).
5. ღმერთის ძის სახელი (მარკ.1:1).
6. ისინი მიიჩქაროდნენ ახალშობილი ყრმის სანახავად, რათა თაყვანი ეცათ მისთვის (ლუკ.2:15-16).
7. ისინი აქებდნენ ღმერთს მწყემსების წინაშე (ლუკ.2:13-14).
8. ადგილი, სადაც მწყემსები იმყოფებოდნენ ფარასთან ერთად, როდესაც ანგელოზი გამოეცხადა მათ (ლუკ.2:8).
9. იესოს დედა (მათ.2:11).
10. შობს ძეს და უწოდებ მას სახელად... (მათ.1:21).
11. დასაწყისში იყო სიტყვა და სიტყვა იყო... (იოან.1:1).
12. მოგვები ეძებდნენ ახალშობილ... (მათ.2:2).
13. რა უწოდა ანგელოზმა ქალაქ ბეთლეემს სადაც დაიბადა ყრმა (ლუკ.2:11)?
14. ყრმა იესოს საწოლი (ლუკ.2:7).
15. მარიამის ქმარი (ლუკ.2:16).
16. ეს საჩუქარი იესომ მიიღო მოგვებისგან (მათ.2:11).

ნახატი ი. პ.


18. ქრისტიანობის ჩიერი გუთხში

1492 წლის 12 ოქტომბრის შუაღამის ორ საათზე კარაველა „პინტას“ გებბანიდან გაისმა ზარბაზნის ხმა. მატროსმა როდრიგომ დაინახა მიწა. ექსპედიციის მეთაური ქრისტეფორე კოლუმბი ზეიმბდა. ის თვლიდა, რომ მიაღწია ინდოეთის ან ჩინეთის კუნძულებს, თუმცა სინამდვილეში, მან აღმოაჩინა ახალი კონტინენტი — ამერიკა. როგორც კი ნაპირზე ჩამოვიდა, მან ახალი მიწა ესპანეთის სამფლობელოდ გამოაცხადა, აღმართა კასტილიის დროშა და მალე ადგილობრივებსაც შეზღდა, რომელთაც ინდიელები უწოდა.

თავის დღიურში კოლუმბმა ჩაწერა: „ამ ადამიანებს არაფერი უჭირდათ. ისინი ზრუნვდნენ თავიანთ მცენარეებზე, იყვნენ დახელოვნებული მეთევზები, მენავეები და მოცურავეები. აშენებდნენ მიმზიდველ საცხოვრებლებს და ინახავდნენ მას სუფთად. ჰქონდათ თავისუფალი დრო იმისათვის, რომ ეთამაშათ ბურთი, ეცეკათ და მუსიკით გართობილიყვნენ. ცხოვრობდნენ მშვიდობიანად და მეგობრულად. . . შეიძლება მათი მოქცევა ჩვენს წმიდა რწმენაზე. მათგან კარგი და დახელოვნებული მსახურები დადგებიან.“

ევროპაში დაბრუნებულმა კოლუმბმა შეკრიბა ექსპე-


რედ
უნი
შეა
დ.
ობ
ინ
ელადი



დიცია, რომელიც 2000-ზე მეტი ადამიანი შედიოდა. მეზღვაურების გარდა, მასთან ერთად უნდა გაეცურათ ბერებს, მღვდლებსა და ჩინოვნიკებს. ასე დაიწყო, ერთი წლის შემდეგ ახალი მსოფლიოს დაპრყობა. ძლიერ, ჯავშანში ჩამჯდარ ცხენებზე ამხედრებულ რაინდებს, ცეცხლსასროლი იარაღით ხელში, რომლის შესახებაც ადგილობრივებს არანაირი წარმოდგენა არ ჰქონდათ, უწოდეს კონკისტადორები, ანუ კონკისტას — ამერიკის დაპყრობის — მონაწილენი.

კონკისტადორები
მფინარე
მისისინის
ნაპირზე
1541 წ.
მხატვარი
უ. პაული





მადლინერენის პირველი დღე მხატვარი ჰ. ლ. ფერისი

ამერიკის შევრთებული შტატების ეროვნული დღესასწაულის - მადლინერების დღის (Thanksgiving Day) ზეიმით დადგენილია პილიგრიმი მამების მიერ, როგორც ლვითისადმი მადლინერების დღესასწაული. ჩამოსულთა მხოლოდ ნახევარი გადაუჩა, პირველ, ძალიან ცო ზამთარს, მაგრამ, ადგილობრივი ინდიელების დახმარებით, მათ მოულოდნელად უწევულოდ მდიდარი მოსახალი მიიღეს ხორბლის მცირე რაოდენობიდან. 1621 წლის შემოდგომაზე პილიგრიმმა მამებმა ბელადი და კიდევ 90 ინდიელი მიიწვიეს მადლინერების პირველი დღის დღესასწაულზე.


ექსპედიციაში გულწრფელი ქრისტიანებიც იყვნენ, რომელთაც სურდათ ადგილობრივების მოქცევა ქრისტიანობაზე, მაგრამ მათზე გაცილებით ბევრი იყვნენ ავანტურისტი-მმარცველები, რომლებიც სიმდიდრეზე ოცნებობდნენ. სწორედ ამიტომ გადაიქცა კონკისტა ბარბაროსულ ომად ინდიელთა წინააღმდეგ.

მიუხედავად იმისა, რომ ბერებმა ჩამოაყალიბეს სასოფლო-სამეურნეო თემები, ასწავლიდნენ ადგილობრივებს ხელობებსა და მეცნიერებებს, ქადაგებდნენ და პროტესტს აცხადებდნენ ინდიელების დამონების წინააღმდეგ, ეკლესიის ხმა ძალიან სუსტი იყო. სანამ 1517 წელს, ეპისკოპოს ბართლომე დე ლას კასასის, რომელიც ინდიელთა მგზნებარე დამცველი გახლდათ, მოთხოვნით, იმპერატორმა კარლოს V ყველა ინდიელს პირადი თავისუფლება არ უბოძა, მილიონობით ადამიანი უკვე მოკლული იყო. თუმცა კათოლიკურმა რწმენამ ფართოდ იწყო გავრცელება ლათინურ (ცენტრალურ და სამხრეთ) ამერიკაში.

ჩრდილო ამერიკაში საეკლესიო ცხოვრების განვითარება ძირითადად ევროპიდან რელიგიური ლტოლვილების მეშვეობით ხდებოდა. 1620 წელს

დაახლოებით 100 კოლონისტი, რომლებიც „პილინგრიმი მამების“ სახელით იყვნენ ცნობილები, ხომალდი „მეიფლაუერით“ (ინგლ. „მაისის ყვავილი“) გაემართა ამერიკის ნაპირებისკენ. მოგზაურობა ოკეანეზე დაახლოებით ორი თვე გრძელდებოდა და იყო მძიმე. როგორც იქნა კოლონისტები გადასხდნენ პლიმუტში. ესენი იყვნენ პურიტანელები (კალვინიზმის მიმდევრები ინგლისში, რომლებიც რეფორმაციის გამრმავებისათვის იბრძოდნენ). ინგლისში მათ დევნიდნენ როგორც ერეტიკოსებს, თუმცა თავისი სიმამაცითა და ქთილშობილებით მათ დიდი გავლენა მოახდინეს ამერიკელი ერის ჩამოყალიბებაზე.

XVII საუკუნის მანძილზე ამერიკაში სახლდებოდნენ არა მხოლოდ რელიგიური ლტოლვილები, არამედ ავანტურისტებიც — თავგადასავლების მაძიებელნი, და სწორედ ასეთ გარემოში დაიწყო დიდი გამოღვიძება. გასაჭირში და ტანჯვაში მყოფნი, დაუცველები მტრულად განწყობილი ინდიელებისა და ყაჩაღთა ბანდებისგან, ადამიანებმა დაიწყეს ღმერთის ძიება, და უფალი მოაქცევდა გადასახლებულთა გულებს თავისკენ. ამ გამოღვიძებას ხანდახან „საბანაკე“ გამოღვიძებას უწოდებენ, იმიტომ რომ შეკრებები ტარდებოდა პირდაპირ მინდვრებზე, სადაც ადამიანები მოდიოდნენ ფორჩებით, საკედების მარაგით და რამდენიმე დღეს ამგვარ იმპროვიზირებულ კარვების ბანაკში ატარებდნენ. დათისმსახურებები ძალიან ემოციონალურად ტარდებოდა, ხანდახან მონაწილეთა რიცხვი 30 000 აღწევდა.



კონათან
ეფვარდი



კონტ
უითფილდი

განსაკუთრებით ცნობილი მქადაგებლები, რომელთა მეშვეობითაც ასეულ ათასობით ადამიანმა მოინანია, გახდნენ ჯონათან ედვარდისა და ჯორჯ უაითფილდი. XVIII - XIX საუკუნეების ძლიერმა გამოღვიძებებმა ამ პერიოდის ბოლოსათვის განაპირობა ძლიერი, მდიდარი და დათისმშიში ერის ფორმირება.

იჩი თუ რობ?

დედამიწაზე არსებობს ძუძუმწოვართა საოცარი გუნდი - პანგოლინები, ანუ ხვლიკები. ეს ცხოველები ძალიან სასაცილოდ გამოიყურებიან: ისინი თითქმის სრულად დაფარულნი არიან რქოვანი ქერცლებით. მხოლოდ დინგი, მუცელი და თათების შიდა ზედაპირი არ არის დაფარული ჯავშნით. პანგოლინებს პირში საერთოდ არ აქვთ კბილები, სამაგიროდ კუჭში აქვს წამახვილებული რქოვანი ფურცლები (ისინი ქმარება გადაამუშავონ ჭიანჭველები და ტერმიტები, რომლებითაც იკვებებიან ხვლიკები). პანგოლინებს ენაც განსაკუთრებული აქვთ; გრძელი (დიდ ხვლიკებს შეიძლება 40 სმ სიგრძის ენა პქონდეთ), თასმის-მაგვარი და მწებვარე. ამ ძუძუმწოვრების რქოვანი ქერცლები საჭურველს წააგავს. ფურცლები ჯვშანზე ერთმანეთზეა დაწყობილი, ისე როგორც ნაძვის გირჩხე. აღრე ფიქრობდნენ, რომ ეს შეზრდილი თმები იყო, თუმცა ისინი უფრო ფრჩხილებს ჰგავს. თუ ხვლიკი დაკარგავს ერთ-ერთ ქერცლს მის ადგილზე ახალი იზრდება.

პანგოლინები



ო. მ.



იჩი თუ რობ?

პანგოლინები ჭიანჭველებით არა მხოლოდ იკვებებიან არამედ მათ სანიტრებადაც იყენებენ. ხვლიკი აშლის ხოლმე ქერცლებს და ჭიანჭველები მის ტანხე წვრილ პარაზიტებს ჭამენ რომლებისგანაც თავად მას არ შეუძლია გათავისუფლდეს. გარკვეული ღროის შემდეგ ის კეცვას ქერცლებს და ჭყლეტს ჭიანჭველებს. შემდეგ მიემართება ტბორისჯნ და იქ ისწორებს ქერცლებს. ამოტიყტივებულ ჭიანჭველებს კი ენის წვერით პირისაკნ მიაქანებს.

იჩი თუ რობ?

სახელი „პანგოლინი“ მომდინარეობს მალაური სიტყვიდან „pengguling“, რაც ითარგმნება, როგორც „ბურთად დაგორგლილი“. ხვლიკები ისე მოხერხებულად იგორგლებიან, და თათებითა და თავით ისე იფარავენ დაუცველ მუცელს, რომ მცირეზომის მტაცებელს არ შეუძლია მისი გაშლა, ადამიანსაც კი უჭირს ამისი გაცითება. მსხვილ მტაცებლებს კი პანგოლინები იშორებენ საზიზდარი სუნით, რომელსაც ანალური ჯირკვლებიდან უშვებენ. რას აღარ ეძახიან პანგოლინებს! კგვარას, კხაკას, ინკაქს, კსიკხარას, აბუ-კხირფას (რაც „მტოზის მამას“ ნიშნავს), ბგანა-მგანგას („ბატონი დოქტორი“) - ეს მხოლოდ რამდენიმეა მრავალიცხოვანი სახელებიდან.



იჩი თუ რომ?

სულ დედამიწაზე პანგოლინების რვა სახეობა არსებობს: ოთხი აფრიკაში, ოთხი კი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. ზელიკები ძირითადად ხეებზე დაცოცავენ, რისთვისაც მოხერხებულად იყენებენ გრძელ ქერცლიან კუდებს. მხოლოდ სტეპების და ინდოური პანგოლინები ცხოვრობენ მიწაზე და თხრიან სამ მეტრამდე სილრმის ორმოებს. სხვა ზელიკები ხეების ფუღუროებში ისვენებენ. ყველაზე მძიმე პანგოლინებს შორის არის - გიგანტური პანგოლინი, რომელიც 27 კგ-ს იწონის და სიგრძით, კუდთან ერთად ორ მეტრამდე აღწევს!

ნახატი ნ. ჟ.

იჩი თუ რომ?

თათებზე პანგოლინებს გრძელი ბრჭყალები აქვთ. მათი დახმარებით პანგოლინები ანგრევენ ტერმიტებისა და ჭიანჭველების ბუდეებს. შემდგა ღრმულებში კოფენ თავის ვიწრო დინგს. . .

უფრო ღრმად მყოფ ჭიანჭველებს კი ენით ეძებენ, იწებებენ და მიაქანებენ პირისებრ. ამას იმეორებენ და იმეორებენ. გავსებენ რა კუჭს, ზელიკები დასაძინებლად მიდიან, ამ დროს კი მათი კუჭის რქოვანი ფირფიტები გამაღებით მუშაობენ, რათა გადაამუშავონ გადაყლაპული საკვები.

იჩი თუ რომ?

პანგოლინები - მუნჯი ცხოველები არიან. მათ შეუძლიათ გამოსცენ მხოლოდ ფშუტუნის ხმა და ერთმანეთზე მოხახუნე ქერცლების ტკაცატეტუცი. პანგოლინები ძალიან ნელა მოძრაობენ. მათ შორის ყველაზე სწრაფს (სტეპის პანგოლინს) საათში მხოლოდ 3,5-5 კმ სისწრაფე შეუძლია განაცითაროს. გარემოს დასათვალიერებლად, პანგოლინს კუნგურუს მსგავსად შეუძლია დადგეს უკან თათებზე და დაეყრდნოს კუდს. მათ არა აქვთ კარგი მხედველობა და სმენა, სამაგიეროდ აქვთ შესანიშნავი ჭნოსვა.

აი ასეთები არიან
პანგოლინები:
უწვეულოები და
სასაცილოები, იღუმალები
და საინტერესოები,
სიყვარულით ქმნილი
შემოქმედისგან!



მასტერ-კლასი

გირლანდა ვარსკვლავებისგან

შეადგინა ვ. ნ.



1. აუცილებელი მასალა: მუყაო, ორი ფერის ძაფი, მაკრატელი, ფანქარი, წებოვანი ლენტა.

2. მუყაოზე ვხატავთ სხვადასხვა ზომის ვარსკვლავებს (ჩვენ 5 გვაქვს, შეიძლება მეტის გაკეთებაც).

3. აკურატულად ამოვჭრით.



4. თუ მუყაო ფერადია, საჭიროა მასზე თეთრი ქაღალდის გადაკვრა.

5. გაწებებთ ძაფს ვარსკვლავს წებოვანი ლენტით.

6. ვიწყებთ ვარსკვლავის დეკორირებას, ამასთან ცოტათი ვჭიმავთ ძაფს. ძაფის ბოლოს ვამაგრებთ წებოვანი ლენტით.



7. ამგვარადვე ვაფორმებთ ვარსკვლავს მეორე ფერის ძაფით. ვაკეთებთ ვარსკვლავების საჭირო რაოდენობას.

8. ყველა ვარსკვლავს ვამაგრებთ ძაფზე წებოვანი ლენტით.

9. ვრთავთ გირლიანდას მძიებით, ფიფქებით. ჩვენი გირლიანდა შზად არის! მისით შეგვიძლია მოვრთათ სახლი შობის დღესასწაულისათვის.

აშტავეთ შობის შესახებ



ამ დღეს მოულს მსოფლიოში
სიხარულით აღნიშნავენ და
ყველგან ზეიმობენ _____!



ძალიან თაგმდაბალი და ღვთისმოში-
ში ყმაწვილქალი იყო _____.



მასთან მოვიდა ღმერთისგან
გამოგზაუნილი ანგელოზი _____.



ამ ანგელოზმა მოიტანა ამბავი, რომ
ის ძეს შობდა, ვინც გახდებოდა
ადამიანთა _____.

მარიამმა და ... ყველა ეჭვები
გვერდზე გადადეს და გაეშურნენ
ბეთლემისკენ _____.



იქ იშვა მეფე. მეფეს არ ჰქონდა
თავშესაფარი და მოუწია ძილი _____.



ყრმა იქსოს, არც სასახლეში და
არც კარავში, არამედ ... მიწვენილს
ეძინა _____.



აღმოსავლეთიდან მისკენ
გამოემართნენ _____.



როგორ უნდა ეპოვათ მათ მეფე?
და აი გზს მაჩვენებლად მათ
გამოუჩნდათ _____.



ისინი მოვიდნენ და თაყვანი
სცეს ყრმა იქსოს და მიართვეს
მეფური _____.

პატარებთან ასეთი კითხვა
გვაქვს: თქვენგან, რისი
მიღება სურს იქსო ქრისტეს?





გ. შ. 7 ნოებ., ჩესეთი



გ. ი. მოცემვა




ვ. ბ. 10 ნოებ., ცხანინა




ი. ე. 8 ნოებ.,
ყაზახეთი



ვ. ს. 11 ნოებ., ცხანინა



მ. ბ. ცხანინა




ს. პ. 12 ნოებ.,
ცხანინა



ა. ზ. ცხანინა

იროვესგან
გაქცევა მვაიტეშო




ა. ბ. 10 ნოებ.,
ცხანინა




რ. ა. ცხანინა



მისია „შუქი
აღმოსავლეთში“



ნ. ა. 13 ხელს ყოჩაოთი



ნ. ზ. 10 ხელს, ჩავთი



ნ. მ. ვაჟაპენი



ნ. ს. 14 ხელს, ვაჟაპენი

საბავშვო ქრისტიანული უურნალი
გამოდის 1990 წლიდან.

მთავარი რედაქტორი:
ვალდემარ ბახცელი

რედაქციის მისამართი გერმანიაში:
LICHT-IM-OSTEN, Postfach-1340,
70809-Kotmal, GERMANY.

ტელ: 49 711 839908-23;

ფაქსი: 49 711 839908-4.

E-mail: ezom@lio.org

სკოლის დაწყებითი და შუა კლასების
ბავშვებისათვეს

ქართული გამოცემის რედაქტორი:

ლუხუმ მაისურაძე

კომპიუტერული დამუშავება:

დათო მაისურაძე, თაკო მაისურაძე

მისამართი: ქ.თელავი. დადიანის 8

ტელ: 551 22 02 60

ელ ფოსტა: lukhummaisuradze@yahoo.com

Facebook page: საბავშვო უურნალი „ბილიკი“

დაბეჭდილია სტამბა „სეზანი“

ISSN 1987-72 O X

UDC 0875050 (47922) ბ 676

გვ. 13

კროსვორდი

პორიზონტალური: 1. დავითმა. 3. ტვირთმძიმენო.
4. ადამი 6. ბალაამი. 7. ნაზარეთი. 8. ეზეკიელი.
9. დანიელი. 10. ნოე.

ვერტიკალური: 2. აბრაამი. 5. პეროდე.
11. ნიკოდემოსი. 12. თვინიერნი. 13. აბელი.
14. იონათანი.

ვაჟაპენი

ISSN1987-720X



9 8771987 0720007 8